თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 8

21. 05. 2018წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანა ფეიქირიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღრვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღრვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სახით ნორმატიული აქტის პროექტი მისაღებია, ნანა ხვისტანს დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

გადაწყვიტეს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღრვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება შესაძლებელია მოიხსნას განხილვიდან, ვინაიდან მასში დაზუსტებას მოითხოვს ზოგიერთი საკითხი, რაზეც უნდა გაწიოს მუშაობა მერიის შესაბამისმა სამსახურმა, კერძოდ, უნდა განისაზღვროს კულტურული მემკვიდრეობის ზონები კონკრეტულად.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: წარდგენილ იქნეს ბიუროს სხდომაზე, საკითხის დღის წესრიგიდან მიხსნის წინადადება.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მისაღებია და მზად არის ბიუროს სხდომაზე წარსადგენად.

გადაწყვიტეს: „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების პროექტი წარდეგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს:თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი დასახვეწია. არა არის დასაბუთებული საჭიროება აღნიშნული ცვლილების განხორციელების შესახებ.
კომისიის წევრები დაეთანხმნენ ნანა ხვისტანის პოზიას.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, რათა ბიუროს სხდომამდე წარმოდგენილ იქნას პროექტის დასაბუთებული ვარიანტი.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი